ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4206089

ნომერი: AR1635033

თარიღი : 03.10.2018

გაცემის თარიღი : 08.10.2018

გაცნობის თარიღი : 08.10.2018

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მეფე მირიანი , N 70;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო მამულაშვილი პ/ნ 24001003099
- თბილისი ლ.პასტერის ქ. N 7ა

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება

რეკონსტრუქცია

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი განაცხადის ველში.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენ მიერ ატვირთული დოკუმენტაცია, საკითხის განხილვის შედეგად გაცნობებთ შემდეგს: ვინაიდან თქვენს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით ხორციელდება არსებული შენობის გადახურვის მზიდი კონსტრუქციული ელემენტების ცვლილებით (ხორციელდება არებული სახურავის მოხსნა ფილის მოწყობა) რეკონსტრუქცია, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა დასანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების თანახმად – აღნიშნული რეკონსტრუქცია არ წარმოადგენს I კლასის რეკონსტრუქციას და არის ისეთი სახის ცვლილება, რაც საჭიროებს სამშენებლო დოკუმენტის პროექტის საფუძველზე მშენებლობის ნებართვის გაცემას.თქვენს მიერ არჩეული ნომენკლატურა არ შეესაბამება დაგეგმილი სამუშაოებისათვის საჭირო ნომენკლატურას.

აღნიშნულის გათვალისწინებით –მისამართზე www.tas.ge საჭიროა თქვენი მოთხოვნა დააყენოთ პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე და ატვირთოთ დოკუმენტაცია სრულყოფილი სახით შესრულებული.

ნომენკლატურის არჩევისას უნდა აირჩიოთ ახალი ნომენკლატურა – მშენებლობის ნებართვა– სწორად შეავსოთ კლასის განსაზღვრის კალკულატორი (მიუთითეთ მთლიანი შენობის მონაცემები–იმისათვის, რომ საპროექტო ობიექტს მიენჭოს მისი პარამეტრების შესაბამისი კლასი) და ქმედებაში მიუთითეთ –„რეკონსტრუქციის სხვა სახეობა“.

ასევე გაცნობებთ :ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14–39 დადგენილების მე–19 მუხლის მე–2 პუნქტის "შენობა-ნაგებობის კლასისადმი მიკუთვნება ხორციელდება ასაშენებელი ან სადემონტაჟო შენობა ნაგებობის პარამეტრების მიხედვით, რეკონსტრუქციისას, იმ შემთხვევაში, როდესაც შენობა-ნაგებობის კლასი იზრდება, კლასი განისაზღვრება შენობა-ნაგებობის საბოლოო (სამშენებლო დოკუმენტით გათვალისწინებული) პარამეტრების მიხედვით. იმ შემთხვევაში, თუ რეკონსტრუქციისას შენობა-ნაგებობის კლასი მცირდება, მაშინ შენობა-ნაგებობის კლასისადმი მიკუთვნება ხორციელდება არსებული სარეკონსტრუქციო შენობა-ნაგებობის პარამეტრების მიხედვით".

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა;

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.